

ცვლადკოეფიციენტიანი ორწერტილოვანი სასაზღვრო ამოცანის
მიახლოებითი ამოხსნა ოპერატორულ-საინტერპოლაციო მეთოდით

არჩილ პაპუკაშვილი

ნაშრომში ორწერტილოვანი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისთვის გამოწერილია ახალი სათვლელი ალგორითმები. მოცემული სასაზღვრო ამოცანის გრინის ფუნქციას, განხილულს როგორც არაწრფივ ოპერატორს ცვლადი კოეფიციენტის მიმართ, ვუკეთებთ აპროქსიმაციას ნიუტონის ტიპის ოპერატორული საინტერპოლაციო პოლინომების გამოყენებით. შებრუნებული ოპერატორის აპროქსიმაციისთვის აგებულია სხვადასხვა ტიპის მიახლოებითი სათვლელი ფორმულები. მოყვანილია ალგორითმების აღწერა და ტესტური ამოცანების თვლის შედეგები.